მაია ყიფიანი

ისტორიის აკადემიური დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის პროფესორი

თანასწორობა, ქალი, ქრისტიანობა

შესავალი

თანასწორობის იდეა, ქრისტიანული ცივილიზაციური ფენომენია, რომელიც თანამედროვე მოწინავე სამყაროს პრიორიტეტია. ბიბლიური დოქტრინა ჰუმანურობის, სიყვარულის, მიმტევებლობის ნამდვილი ჰიმნია. ქრისტიანობა ერთ-ერთი ყველაზე მეტად შემწყნარებლური რელიგიაა, მან კაცობრიობას შესთავაზა მანამდე არგაგონილი იდეა ერთიანობისა და თანასწორობის შესახებ, რომელშიც ცენტრალური ფიგურა ადამიანია. ქრისტეს შობიდან იწყება ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში, ახლი წელთაღრიცხვა. ქრისტიანული ფასეულობები და ღირებულებები ევროპული აზროვნების ერთ-ერთი საყრდენია. ქრისტიანული რელიგიის მესაძირკვლის, პავლე მოციქულის სიტყვები, რომელზედაც ფაქტობრივად დგას თანამედროვე მოწინავე საზოგადოებრივი აზრი, თანასწორობის იდეის ბრწყინვალე ნიმუშია – „აღარ არის იუდეველი, აღარც წარმართი; აღარც მონა, აღარც თავისუფალი; აღარც მამრი და აღარც მდედრი, რადგან ყველანი ერთნი ხართ ქრისტე იესოში“ [1, 1158].

XVI საუკუნის პოლიტიკური რეალიზმის წარმომადგენელმა, ნიკოლო მაკიაველმა სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე

პოლიტიკა გაათავისუფლა რელიგიისა და მორალისაგან. მისი ამოსავალი წერტილი რეალური პოლიტიკური პრაქტიკა იყო. მან ადამიანური მორალი და რწმენა კერძო სიბრტყეში გადაიტანა, ხოლო პოლიტიკა სახელმწიფო ინტერესებს დაუქვემდებარა, საზოგადო განზომილებას მიაკუთვნა [2, 108]. პოლიტიკისა და რელიგიის განცალკევების საკითხი საუკუნეების მანძილზე არ კარგავდა აქტუალობას და მრავალი მოაზროვნის მსჯელობის საგანი გამხდარა. საბოლოოდ თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებში, ერთმანეთისაგან გაიმიჯნა საერო და სასულიერო ხელისუფლება, ჩამოყალიბდა დემოკრატიული, თანასწორობის პრინციპებზე დამყარებული სისტემა.

ადამიანისა და საზოგადოების კომპლექსური შესწავლა ყოველთვის იყო მეცნიერთა ინტერესის საგანი. აღნიშნული საკითხის არსში ჩაწვდომის მიზნით მნიშვნელოვანია სქესის თეორიის დინამიკაში დანახვა და გათვალისწინება. ეპოქებისა და აზრის ცვლილებებთან ერთად იცვლებოდა ქალთა მიმართ დამოკიდებულებებიც. პატრიარქალურ აზროვნებაში, რომელიც ანტიკური პერიოდის ფილოსოფიიდან და ქრისტიანული სწავლებიდან იღებს სათავეს, ქალი იდენტიფიცირებული იყო მეორეხარისხოვან არსებად, რამაც გარკვეულწილად ჩამოაყალიბა ქალის არაპრესტიჟული გენდერული სტერეოტიპი, სადაც იგი მარგინალიზებული და დათრგუნულია [3, 66].

წინამდებარე სტატიაში ამ სტერეოტიპის დამკვიდრების წყაროების განსხვავებული რაკურსით წარმოდგენას შევეცდები.

ტრადიციულმა აზროვნებამ განაპირობა სქესის თეორიების ბიოდეტერმინისტული ხასიათი და მკვეთრად გამოხატული მიზოგინურობა. სქესის აღქმაში წამყვანი ადგილი დაიკავა ბინალურმა ოპოზიციამ – გონებამ და სხეულმა. გონება დადებით მახასიათებლად მიიჩნევა და მამაკაცურ საწყისს უკავშირდება, სხეული – ქალურს, უარყოფით მახასიათებელს, მამაკაცი სუბიექტია, ქალი – ობიექტი [3, 66].

ქალთა საკითხების მკვლევართა აზრით, ისტორია, ფილოსოფია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები მიზოგინიურია. ანტიკური პერიოდის ფილოსოფიურმა აზრმა შვა ქალური და

მამაკაცური საწყისების შეპირისპირება, რომელმაც განაპირობა პატრიარქალური მეტაფიზიკის ჩამოყალიბება [3, 66]. კულტურული სიმბოლოების, რაციონალურისა და ბუნებრივის დიფერენცირება-დაპირისპირება შუა საუკუნეებში კიდევ უფრო გაღრმავდა. ქრისტიანობა თანასწორობის, მათ შორის სქესთა თანასწორობის პრინციპის ფუძემდებელი, ამ პერიოდში ქალთა დისკრიმინაციის განმამტკიცებელი აღმოჩნდა. განსაკუთრებით ევროპელი ქალების მდგომარეობა გამწვავდა კათოლიკური ეკლესიის წიაღში, ინკვიზიციის პერიოდში [4, 27]. ამ ყველაფერმა ერთად პატრიარქალური საზოგადოების აზროვნება ქალთმოძულედ ჩამოაყალიბა.

XIX-XX საუკუნეებში ლიბერალურმა და სოციალისტურმა იდეოლოგიებმა ასახვა პოვეს სქესის თეორიის განვითარებაზე, ბიოდეტერმინიზმმა უკან დაიხია და პრიორიტეტული ეგალიტარული შეხედულებები გახდა. ქალი დაწინაურდა. ის დღეს საერთაშორისო არენაზე, პოლიტიკაში, ეკონომიკაში, მეცნიერებაში, მედიცინაში, განათლებასა და ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში აქტიურად არის წარმოდგენილი. ქალები საზოგადოების მნიშვნელოვანი სოციალური ჯგუფია, ისინი მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარს შეადგენენ [4, 27].

მიუხედავად იმისა, რომ ქალი და მამაკაცი კანონის წინაშე თანასწორია, ცათა სასუფევლის კარიც ორივე სქესისათვის თანაბრად ღიაა, რეალურ ცხოვრებაში სქესთა თანასწორობა ჯერ კიდევ არ არის მიღწეული. აღნიშნულის გამომწვევი მიზეზები ძირითადად მენტალობაში დალექილი ზემოთ ხსენებული მოძველებული სტერეოტიპებია, რომლებიც ხშირ შემთხვევაში პატრიარქალური პრიზმიდან არასწორად დანახული შეხედულებებიდან მომდინარეობს [5, 17].

დღევანდელი საქართველო და ქრისტიანობა

საქართველო მსოფლიოსათვის ისტორიულად ტოლერანტობის, ურთიერთდახმარების, თანადგომისა და მიმტევებლობის მაგალითია. ამ ღირებულებების ჩამოყალიბების საქმეში უდიდესი წვლილი საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას მიუძღვის.

თანამედროვე საქართველო დემოკრატიული სეკულარული რესპუბლიკაა, რომელიც დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე სამოქალაქო საზოგადოებას აშენებს [6].

ქრისტიანობა, როგორც კულტურული ცივილიზაციური ფენომენი, ქართულ აზროვნებაზე უდიდეს გავლენას ახდენდა და დღესაც ახდენს. საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, მისი განმანათლებელი წმინდა ნინოა. ქალისადმი პატივისცემა და მოწიწება ჩვენი საზოგადოების აზროვნების განუყოფელი ნაწილია. ქრისტიანობა და ქართველობა ყოველთვის სინონიმები იყო. ქართველთა სულიერი საყრდენი „ენა, მამული, სარწმუნოებაა". საქართველოს მოსახლეობის 83%-ს თავი მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლად მიაჩნია, კათოლიკოს-პატრიარქის ავტორიტეტი და პატივისცემა ქვეყანაში ყველა პოლიტიკური ლიდერისა და სახელმწიფო ინსტიტუტების რეიტინგებზე მაღალია. შესაბამისად სასულიერო პირების გავლენაც მოსახლეობის შეხედულებებზე მნიშვნელოვანია. ეკლესიის განსაკუთრებული წვლილი გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციაში. 2002 წელს საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ ეკლესიას შორის დადებულია კონსტიტუციური შეთანხმება, რომელშიც „ეკლესიის განსაკუთრებული მნიშვნელობა" საქართველოს ისტორიაში, ამასთანავე რწმენისა და აღმსარებლობის სრული თავისუფლება ხაზგასმითაა აღნიშნული [7].

თანამედროვე საქართველოში მომხდარი პოლიტიკურ-სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაცია დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებაზე. ცვლილებების დროს ძველი და ახალი ღირებულებები, ფასეულობები, სტანდარტები და სტერეოტიპები ერთმანეთში ირევა, ადამიანები სწორი პასუხების მისაღებად ხშირ შემთხვევაში ეკლესიას მიმართავენ. საქართველოში ქალისადმი დამოკიდებულება მონარქიის, სოციალიზმისა და თანამედროვე დემოკრატიის პირობებშიც დიქოტომიურია. ერთი მხრივ, დედა უმაღლეს საფეხურზეა აყვანილი და ქართლის დედას ძეგლიც დავუდგით, მეორეს მხრივ ქალი მხოლოდ სამკაული, ანტურაჟი და მეორეხარისხოვანია [8, 67].

ქრისტიანობა და ქალი

ქრისტიანობა პატრიარქალური აზროვნების ქვაკუთხედია. ცნობილია, რომ ბიბლია ორი, ერთმანეთისგან განსხვავებული ნაწილისაგან, ძველი და ახალი აღთქმისაგან შედგება, იგი თავისი არსით ერთ მთლიანობას წარმოადგენს. ძველი აღთქმა ძვ. წ. მეორე ათასწლეულის მეორე ნახევრიდან იწერებოდა. იგი მოგვითხრობს ებრაელი ხალხის თავგადასავალს, მათ სულიერ ცხოვრებას, განსაცდელს, ბედისწერას, გამარჯვებას [9, 3]. ერის მძიმე ცხოვრების შესაბამისად მისი კანონები მეტად მკაცრი და დაუნდობელია.

ძველი აღთქმის წიგნები ქალს მეტად დაკნინებულ მდგომარეობაში წარმოაჩენს, ფაქტობრივად განსაზღვრავს მის მარგინალიზებულ მდგომარეობას ოჯახსა და საზოგადოებაში. დაბადების წიგნში აღწერილი ადამისა და ევას შექმნის ეპიზოდები მნიშვნელოვანი საბაზისო მონაცემებია სქესთა ურთიერთობის, ძირითადად, დაპირისპირების მიზეზის დადგენის თვალსაზრისით. ძველი აღთქმა იუდაიზმის, ქრისტიანობისა და ისლამის საფუძველია, შესაბამისად ამ რელიგიების მიმდევრებშიც პატრიარქალური შეხედულებებია დამკვიდრებული [10, 102].

დაბადების წიგნში ნათქვამია, რომ ღმერთმა ადამი მიწისაგან შექმნა, ევა ადამის გვერდისაგან, ნეკნისაგან. ყურადღებას იქცევს აკრძალული ხილის, „სიკეთისა და ბოროტის ცნობადი ხის ნაყოფის გემოს ხილვის“ ამბავიც, სადაც ევა ითვლება ადამის მაცდუნებლად, რასაც მოჰყვა ედემის ბაღიდან მათი გაძევება. დაბადების წიგნიდან ეს ორი მომენტი წარმოადგენს მთელი ძველი აღთქმის სულისკვეთებას, ქალთა მოდგმის დისკრიმინაციის საფუძველს, რომელიც აირეკლება ახალ აღთქმაშიც.

ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ქრისტიანობა ქალის მიმართ ამბივალენტური დამოკიდებულებით გამოირჩევა, რომლის საფუძველი ძველ და ახალ აღთქმაში ქალის მიმართ განსხვავებულ დამოკიდებულებებში უნდა ვეძიოთ. კონკრეტულად რისი თქმა გვინდა: ცნობილია, რომ ფილოსოფია, მეცნიერება, რელიგია მამაკაცების საქმედ მიიჩნეოდა, ბიბლიის განმარტებებიც მათ მიერაა სხვადასხვა დროს დაწერილი და მათი ხედვები ცხადია,

ქალისადმი ნეგატიურად განწყობილია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაბადების წიგნის პირველი ორი თავი მიზოგინიის ერთ-ერთი საფუძველია, მაგრამ თუ სწორად გავაანალიზებთ აღნიშნული წიგნის შესაბამის მუხლებს, დავიმოწმებთ თბილისში 2004 წელს, „შესაქმის განმარტებებსა“ და 2020 წელს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით გამოცემულ ფუნდამენტურ ნაშრომს, „ბიბლია განმარტებებით“, კარდინალურად სხვა სურათს აღმოვაჩენთ. კონკრეტულად საკითხი ეხება ქალისა და მამაკაცისადმი უფლის ერთნაირ დამოკიდებულებას.

ძველი აღთქმა

ძველი აღთქმის I თავში ნათქვამია, „თქვა ღმერთმა: გავაჩინოთ კაცი ჩვენს ხატად, ჩვენს მსგავსად. ეპატრონოს ზღვაში თევზს და, ცაში ფრინველს, პირუტყვს, მთელს დედამიწას და ყველა ქვემძრომს, რაც კი მიწაზე დახოხავს“ [1, 13]. ციტატაში სიტყვა კაცი, გულისხმობს ადამიანს, რასაც შემდეგი მუხლი ადასტურებს: „შექმნა ღმერთმა კაცი, თავის ხატად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი. აკურთხა ისინი და უთხრა: ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ დედამიწა, დაეუფლეთ მას...“ [1, 13].

„და შექმნა ღმერთმა კაცი, ღვთის ხატისაებრ შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი“, პროფესორი ზურაბ კიკნაძე განმარტავს შემდეგნაირად: „მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი“ - აქ გამორიცხულია პირველგაჩენილი ადამიანის წარმოდგენა ანდროგინად, ორსქესიან არსებად, ამის ნებას არ იძლევა მრავლობითი „ისინი“ („ოთამ“). ადამიანი არ არის მხოლოდ მამრი, არ არის მხოლოდ მდედრი, არამედ მხოლოდ და მხოლოდ წყვილი (მამრი და მდედრი), არის მთლიანი ადამიანი, ღვთის ხატად შექმნილი ადამის იდეის მატარებელი“ [11].

უნდა აღინიშნოს, რომ ეფრემ ასური სხვა მოსაზრების იყო და წერდა: “მოსე ამ სიტყვებით („მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი“) გვაუწყებს იმის შესახებ, რომ ევა უკვე არსებობდა ადამში, იმ ძვალში, რომელიც გამოღებულ იქნა ადამისგან. მაგრამ ევა მასში იყო არა გონებით, არამედ სხეულით, თუმცა არა მხოლოდ

სხეულით, არამედ სამშვინველითა და სულითაც, რადგან ღმერთს არაფერი მიუმატებია ადამისაგან გამოღებული ნაწილისათვის გარდა სილამაზისა და გარეგნული სახისა, ვინაიდან თვით ამ ძვალში არსებობდა ყველაფერი, რაც საჭირო იყო ევას წარმოსაქმნელად“ [11].

როგორც ტექსტი გვამცნობს, ღმერთი არ ასხვავებს ერთმანეთისგან კაცსა და ქალს, რადგან ნათქვამია, რომ ისინი შექმნილია „უფლის ხატად“ და არ არის ნათქვამი ადამი შექმნა უფლის მსგავსადო. ასევე, ღმერთი ერთნაირად აკურთხებს ორივე მათგანს, არ ლოცავს მხოლოდ ადამს.

II თავში მეტად ძუნწი ხერხებით და მოკლედ არის აღწერილი ადამისა და ევას შექმნის ისტორია: „გამოსახა უფალმა ღმერთმა ადამი (კაცი) მიწის მტვერისაგან და შთაბერა მის ნესტოებს სიცოცხლის სუნთქვა და იქცა ადამი ცოცხალ არსებად... აიყვანა ადამი უფალმა ღმერთმა და დაასახლა ედემის ბაღში... უთხრა, ყველა ხის ნაყოფი გეჭმევა ამ ბაღში. მხოლოდ კეთილის და ბოროტის შეცნობის ხის ნაყოფი არ შეჭამო, რადგან როგორც კი შეჭამ, მოკვდებიო. თქვა უფალმა ღმერთმა არ ვარგა ადამის მარტოდ ყოფნა. გავუჩენ შემწეს, მის შესაფერს“ [1, 14]. სიტყვები „არ ვარგა ადამის მარტოდ ყოფნა“ „შესაქმის განმარტებებით“ მხოლოდ იმ ფაქტზე მიუთითებს, რომ მარტოობა მძიმეა და არ არის ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობა. „და გამოსახა მიწისაგან ცხოველები, ფრინველები, მიჰგვარა ადამს, რომლებსაც მან სახელები დაარქვა, მაგრამ „ადამს არ გამოუჩნდა შემწე და მისი შესაფერი“ [1, 19]. უფალმა ძილქუში მოუვლინა ადამს, გამოუღო ნეკნი, მისგან დედაკაცი შექმნა და ადამს მიუყვანა. „თქვა ადამმა: ეს კი ძვალია ძვალთაგანი და ხორცი ჩემი ხორცთაგანი, დედაკაცი ერქვას მას, რაკი კაცისგან არის გამოღებული“ [1, 14].

პატრიარქალური საზოგადოების მიერ ამ ეპიზოდში დანახულია მხოლოდ ის მომენტი, რომ ქალი კაცის ნეკნისგან არის შექმნილი, რაც თითქოს ქალისთვის დამაკნინებელია.

„ბიბლია განმარტებებით“ აღნიშნავს, რომ „ამის გამო დატოვებს კაცი თავის მამას და თავის დედას და შეუერთდება თავის ცოლს, და იქნებიან ორნი ერთხორცი. „სიტყვა “შეერთება“

მიუთითებს არა მხოლოდ ფიზიკურ კავშირს მეუღლეთა შორის, არამედ მათი ინტერესების სულიერ გაერთიანებას იმდენად მჭიდროდ, რომ ისინი წარმოადგენდნენ არა ორ არსებას, არამედ როგორც ერთ საერთო პიროვნებას. როგორც წმ. წერილში, ასევე ეკლესიის მამებთან მეუღლეთა ეს მჭიდრო სულიერი კავშირი სახეა ქრისტეს კავშირისა ეკლესიასთან (ეფ. 5, 30-31)“ [11].

ჩვენი აზრით, თუ ობიექტურად გავაანალიზებთ აღნიშნულ მუხლს, ვნახავთ რომ ადამი, რომელიც უშუალო კავშირშია ღმერთთან, მისთვის არის ყველაფერი შექმნილი, მაინც მარტოა, ვფიქრობ აქ სულიერი, ინტელექტუალური სიმარტოვე იგულისხმება. სიმარტოვის დასამარცხებლად უფალი „გამოსახავს“ ადამისთვის ცხოველებს, მცენარეებს, ადამი გარკვეულწილად კოსმოგონიაში იღებს მონაწილეობს, იგი ღვთის მიერ განბრძობილია, რადგან სწვდება მათ არსს და შესაბამისად არქმევს სახელებს [9, 7], მაგრამ, როგორც აღმოჩნდება, ადამი მაინც მარტოა, როგორც ტექსტი გვამცნობს, მას „არ გამოუჩნდა შემწე, მისი შესაფერი“. უფალი მხოლოდ ამის შედეგ შექმნის ადამის ნეკნისაგან ქალს, რომელიც ადამს მოეწონება და იტყვის, რომ იგი მისი „ძვალია ძვალთაგანი და ხორცი ხორცთაგანი“. ცხადია ადამი შეიცნობს ქალის არსს, მასაც სახელს დაარქმევს, დედაკაცს უწოდებს. ქალისადმი აქ არ ჩანს არავითარი უარყოფითი დამოკიდებულება და მიუღებლობა, პირიქით აშკარაა ადამის კმაყოფილება, რადგან უფალმა ახლა უკვე ნამდვილად მოუვლინა მას შემწე და შესაფერისი. ქალის შექმნით ადამმა დაძლია მარტოობის გრძნობა.

ჩვენი აზრით, შემწეობას, დახმარებას ადამიანი სთხოვს მასზე დიდს, ღმერთს „შემეწიე, უფალო“, ან მასზე მაღალი იერარქიის წარმომადგენელს „შემეწიე, ბატონო“, ან თანასწორს – „შემეწიე, მეგობარო“ ანუ „დამეხმარე, მეგობარო“. შემწეობა ნიშნავს დახმარების თხოვნას, რომელიც შეიძლება მიმართული იყოს ან ღმერთის, ან უფრო მაღალ საფეხურზე მყოფი ადამიანის ან იმათ მიმართ, რომელთაც შეუძლიათ წყალობა, ხელის გამართვა, გვერდით დგომა, ან უბრალოდ ინტელექტუალური, მორალური დახმარება. ვფიქრობ, ადამს ესაჭიროებოდა ინტელექტუალური

და სულიერი შემწე, მეგობარი, მისი აზრების გამზიარებელი, რომელიც მისი შესაფერისი იქნებოდა. ღმერთმა ადამს მოუვლინა მისი შესაფერისი - თანასწორი შემწე, გონიერი არსება, და არა მონა, მოსამსახურე. თუ ქალი ღმერთისთვის მიუღებელი იყო არ შექმნიდა, არც ადამს მიუვლენდა და არც აკურთხებდა! „აკურთხა ისინი და უთხრა: ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ დედამიწა“ [1, 13].

„ბიბლია განმარტებებით“ გვაუწყებს: „**შემწე.** სიტყვა „შემწეს“ აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ჩვეულებრივი, ყოველდღიური დახმარების გაწევაა. ეს სიტყვა ებრაულ ტექსტში ნიშნავს ორეულს, ასლს, სარკეს – პიროვნებას, შექმნილს იმისათვის, რომ მამაკაცმა თავისი თავი აღმოაჩინოს... **მის შესაფერს.** როგორც მამაკაცი, ისე დედაკაცი საკუთარ არსში ღმერთის ხატების მატარებელია“ [12, 27].

აღსანიშნავია, რომ ქალის უარყოფითი სახის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო ბიბლიის მეორე ეპიზოდმაც, რომელიც აკრძალული ხილის გემოს ხილვას უკავშირდება. ეს ტექსტიც გასაანალიზებელია. ყველაზე ცბიერი, გველი, ევას ეუბნება, რომ თუ ის აკრძალულ ხილს შეჭამს არ მოკვდება, აეხილებათ თვალი და „შეიქმნებით ღმერთივით კეთილისა და ბოროტის შემცნობელნი... დედაკაცმა, მოწყვიტა ნაყოფი და შეჭამა, მისცა თავის კაცს და კაცმაც შეჭამა“ [1, 14]. ამის შემდეგ მათ აეხილათ თვალი და იგრძნეს თავიანი სიშიშვლე და დაიმალნენ. როდესაც ღმერთმა ადამს დაუძახა, ადამმა „მიუგო: შენი ხმა შემომესმა და შემეშინდა, შიშველი რომ ვარ და დავიმალე. უთხრა... იმ ხის ნაყოფი ხომ არ გიჭამია, მე რომ აგიკრძალე? უთხრა ადამმა: შენ, რომ დედაკაცი მომიყვანე, მან მომცა იმ ხის ნაყოფი და მეც შევჭამე. უთხრა უფალმა ღმერთმა დედაკაცს: ეს რა ჩაიდინე? თქვა დედაკაცმა: გველმა შემაცდინა და მეც შევჭამე“ [1, 15]. ამ ეპიზოდის შესახებ „შესაქმეს განმარტებები“ გვაუწყებს „თუ ცოდვით დაცემა ევას გარკვეულწილად შეიძლება ეპატიოს მისი სისუსტის გამო, ადამს, რომელსაც თავად უფლისგან ჰქონდა მოსმენილი მცნება და რომელმაც საკუთარ თავზე გამოცადა

უფლის სიყვარული, შემამსუბუქებელი გარემოებები არ გააჩნია. ამიტომ მისი დანაშაული უფრო მძიმეა ვიდრე ევასი“ [11].

„ბიბლია განმარტებებით“ ამ ეპიზოდს შემდეგნაირად განმარტავს: „გველი მიმართავს ცოლს, როგორც სუსტ ჯურჯელს, მისი მეშვეობით უფრო ადვილია მიზნის მიღწევა, ალბათ იმიტომ, რომ ცოლს თვითონ არ მოუსმენია მცნება უფლისგან, არამედ მიიღო ქმრისაგან და ამიტომ იცოდა ნაკლებ მტკიცედ“ [12, 31]. აქვე მინდა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ სასულიერო ლიტერატურაში პირველ ცოდვას, ადამის ცოდვას უწოდებენ და არა ევას ცოდვას.

ჩვენი აზრით, ამ ეპიზოდს თუ კარგად გავაანალიზებთ, დავინახავთ, როგორც ადამი, ასევე ევა შეცდნენ, აკრძალული ხილი შეჭამეს, წინააღმდეგობა არც ერთს არ გაუწევია, თავისუფალი არჩევანის ნება, უფლება ორივე მათგანს ჰქონდა და მათ აირჩიეს შეცნობის გზა, მაგრამ ამით არ სრულდება ეს ამბავი, ქრისტიანული მრწამსის თვალსაზრისით, რაც შემდეგ მოხდება უარესია. უფალი, როდესაც ცოდვით დაცემულ ადამს ეკითხება აკრძალული ნაყოფი ხომ არ გიჭამიაო, ადამი იმის ნაცვლად, რომ სინანულში ჩავარდეს და პატიება ითხოვოს, პასუხობს, შენმა შექმნილმა ევამ მაცდუნაო, ევაც იმავეს იმეორებს, გველმა მაცდუნაო. არც ერთი არ ინანიებს თავის ცოდვას, პირიქით თვით უფალს აბრალებენ თავიანთ საქციელს. მავანი ამბობს, ქალი დამნაშავეა, რატომ დაელაპარაკა ეშმაკსო, მაგრამ თუ კაცი უფრო ძლიერია, რატომ არ დაიცვა ქალი ცოდვისაგან, რატომ შეჭამა თვითონაც აკრძალული ხილი და შემდეგ თავის საქციელზე პასუხისმგებლობა რატომ არ აიღო, რატომ არ შეინანა? ორივე ქალიც და კაციც შეცდნენ, ისინი ადამიანები არიან და ადამიანურად შეცდნენ. „ბიბლია განმარტებებით“ შემდეგს ამბობს: **„იმ ხის ნაყოფი ხომ არ გიჭამია.** ღმერთმა ადამს მონანიების შესაძლებლობა მისცა, მაგრამ ადამიანი უკვე „შიშველი“ და „ცბიერია“. სიმართლის დამახინჯებით, ერთმანეთსა და ღმერთზე გადაბრალებით, ადამიანები მთლიანად იმ „თავისებურების“ შესაბამისად მოიქცნენ, რაც მათ გველისაგან შეიძინეს“ [12, 35]. ამ ციტატაში არ საუბრობს განმმარტებელი, რომ შეცდა ევა და შეაცდინა ადამი, არამედ ამბობს, რომ ადამიანი, ე. ი. ადამიც და ევაც შეცდნენ.

ამ საქციელისათვის ღმერთი ორივეს სჯის შემდეგი სიტყვებით: „დედაკაცს უთხრა: სატანჯველს გაგიმრავლებ და გაგიძნელებ ორსულობას, ტანჯვით შობ შვილებს. ქმრისკენ გექნება ლტოლვა, ის კი იბატონებს შენზე. ადამს უთხრა: ...მიწა დაიწყევლოს შენს გამო, ტანჯვით მიიღებდე მისგან საზრდოს მთელი სიცოცხლე“ [1, 15].

საინტერესოა, უფალმა რატომ არ დასაჯა მხოლოდ ევა, ორივე რატომ გააძევა ედემის ბაღიდან? პასუხი ერთია, ისინი, ორივე ქალიც და კაციც უფლის თვალში ერთნაირად შემცდარნი არიან! აქ იკვეთება უფლის დამოკიდებულება ორივე სქესის წარმომადგენლის მიმართ, რომლისთვისაც სქესს კი არა აქვს მნიშვნელობა, არამედ ადამიანის საქციელს.

მეოთხე თავი. „დაორსულდა ევა და შვა კაენი და თქვა: კაცი შემეძინა უფლისაგან“. განმარტებებში ვკითხულობთ: „**კაცი.** თავდაპირველად ქალი მამაკაცისაგან შეიქმნა, ახლა კი მამაკაცი გაჩნდა ქალისაგან. ორივე სქესი ურთიერთკავშირშია და ორივე ღმერთზეა დამოკიდებული. **ღმერთისაგან**. ადამიანი წარმოშობითაც, დაბადებითაც, არსებობითაც ღმერთს უნდა უმადლოდეს“ [12, 41]. არსად გვხვდება ცალკე ან ევა ან ადამი, ყოველთვის გამოიყენება სიტყვები ადამიანი, ისინი და სხვ. [12, 16], რაც ადასტურებს დაბადების წიგნის პირველ და მეორე თავებში სქესთა თანასწორობას. სამწუხაროდ პატრიარქალური აზროვნების გამო აღნიშნული ეპიზოდები არასწორად იყო აღქმული.

ახალი აღთქმა

საკაცობრიო აზროვნებაში ახალი აღთქმა პრინციპულად ახალი ფასეულობების შემომტანია, უფლის მოციქულების, მახარებლების მიერ დაწერილი სახარებები და ეპისტოლეები, ქმნიან ქრისტიანულ რელიგიას. ამ წიგნებში გაცხადებული სწავლებები გახდა არამარტო მორწმუნეების სულის ცხონების გზა, არამედ მთელი ევროპული აზროვნების ფუნდამენტი. ძველი აღთქმისაგან აბსოლუტურად განსხვავებულია, ახალი აღთქმის პათოსი, სადაც მთავარი ფასეულობები შემწყნარებლობა, პატიებაა.

ახალ აღთქმაში ქალისადმი დამოკიდებულება ამბივალენტურია. ერთის მხრივ მასში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ და შარავანდედით არიან მოსილნი ქალები, განსაკუთრებით ღვთისმშობელი მარიამი, ლაზარეს დები მართა და მარიამი, მენელსაცხებლე დედები და სხვები, მაგრამ მეორეს მხრივ, ქალის მიმართ დამოკიდებულება სუბორდინაციულია.

აღსანიშნავია, რომ ქრისტიანობის გავრცელების ადრეული პერიოდიდანვე ჩამოყალიბდა ქალის ხატის მიმართ ორმაგი, ნეგატიური და პოზიტიური მიდგომა – ძველი აღთქმის მთავარი ქალი ევა – მაცდუნებელი, სექსუალური, ყბედი, ხოლო ახალი აღთქმის მარიამ ღვთისმშობელი – ამაღლებული, ასექსუალური, თავმდაბალი. აღნიშნული ორმაგი სტანდარტი მყარად დამკვიდრდა საზოგადოების აზროვნებაში, ღვთისმშობლის სახების ანალოგიით ჩამოყალიბდა ქალის, დედის იდეალი, რომლის საფუძველი მორჩილებაა, ხოლო მთავარი ღირსებები – თავგანწირვა, თანაგრძნობა, უბიწოება და უმანკოება [5, 73], ხოლო ევას მაგალითზე შექმნილი მაცდური ქალის სტერეოტიპული სახე შენარჩუნდა.

ქრისტიანობის ქალთა მიმართ დამოკიდებულებები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული პავლე მოციქულის ეპისტოლეებში, სადაც ნათლად ჩანს ადამიანებს შორის ქრისტიანული ურთიერთობების სტანდარტები, ურთიერთსიყვარული, პატივისცემა, თანასწორობა და თავისუფლება.

თავდაპირველად ყურადღებას გავამახვილებთ ახალი აღთქმის იმ ეპიზოდებზე, სადაც ქალი დაკნინებულია. მათეს სახარება იესო ქრისტეს გენეალოგიით იწყება, სადაც ქალის სახელები განსაკუთრებული შემთხვევის გარდა არ მოიხსენიება: „აბრაამ შვა ისააკი, ისააკმა შვა იაკობი, იაკობმა შვა იუდა და ძმანი მისნი“ [1, 959]. აღნიშნული ეპიზოდი ძველი აღთქმის ქალთა დაქვემდებარებული მდგომარეობის ანარეკლია.

პავლე მოციქული კორინთელთა მიმართ პირველ ეპისტოლეში აღნიშნავს, რომ „კაცის თავი ქრისტეა, ხოლო ქალის თავი კი კაცია. კაცმა არ უნდა დაიბუროს თავი, ვინაიდან ხატია და დიდება ღვთისა, ხოლო ქალი ქმრის დიდებაა, რადგან კაცი კი არ

არის ქალისაგან, არამედ ქალი კაცისაგან და კაცი კი არ შეიქმნა ქალისათვის, არამედ ქალი კაცისათვის“ [1, 1141].

ქალისადმი დამოკიდებულება იმდენად დაცემული იყო, რომ 585 წელს მეკონის კრებაზე განიხილებოდა საკითხი იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა ქალს სული. ქალის სულიერების საკითხი კენჭისყრისას დადებითად მხოლოდ ერთი ხმის უპირატესობამ გადაწყვიტა. სქოლასტიკოსების აზრით, „ქალი სატანის ჩირაღდანია, რომელიც გზას უნათებს ეშმაკს“ [1, 73].

ქრისტიანობა შუა საუკუნეებში გაბატონებული პატრიარქალური აზროვნების იდეოლოგიად ჩამოყალიბდა, ფეოდალიზმის პერიოდში არსებული სოციალური უსამართლობა ქრისტიანული სწავლებით ნეიტრალდებოდა, ჩაგრულ ფენას მომავალი ცხოვრების იმედს უსახავდა და ამით ანუგეშებდა. განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა ევროპელი ქალებისათვის შუა საუკუნეები, როდესაც დაიწყო ე. წ. „კუდიანებზე ნადირობა“, აღნიშნული ამყარებდა ქალთა მიმართ უარყოფით შეხედულებებს.

ქალის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებების დამადასტურებელია პეტრე მოციქულის შემდეგი შეგონება: „..თქვენც, ქმრებო, სათუთად მოეპყარით ცოლებს, როგორც უმყიფეს ჭურჭელს, პატივი ეცით მათ [1, 1109]. ცოლისა და ქმრის თანასწორობას მიუთითებს პავლე მოციქულის კორინთელთა მიმართ წარმოთქმული ფრაზა: „ქმარი ჯეროვან პატივს მიაგებდეს ცოლს, ასევე ცოლი-ქმარს. ცოლი კი არ არის საკუთარი სხეულის უფალი, არამედ ქმარი; ასევე ქმარიც როდია თავისი სხეულის უფალი, არამედ ცოლი“ [1, 1138].

განსაკუთრებით საინტერესოა ეფესელთა მიმართ შემდეგ ეპიზოდში გამოთქმული აზრები: „ჰმორჩილებდეთ ერთმანეთს ქრისტეს შიშით. ცოლებო, დაემორჩილეთ თქვენს ქმრებს, როგორც უფალს; ვინაიდან ქმარია ცოლის თავი, ისევე როგორც ქრისტე თავია ეკლესიისა, და თვითვეა სხეულის მხსნელი. მაგრამ როგორც ეკლესია ემორჩილება ქრისტეს, ასევე ცოლებიც თავიანთ ქმრებს ყველაფერში. ქმრებო, გიყვარდეთ თქვენი ცოლები, როგორც ქრისტემ შეიყვარა ეკლესია, და მისცა თავისი თავი მისთვის“ [1, 1164]. ამ ამონარიდიდან ნათლად ჩანს, რომ უფალი მოითხოვს

ქალისაგან ქმრის მორჩილებას, ხოლო ქმრისაგან სიცოცხლის გაწირვას. პატრიარქალურ საზოგადოებაში ხშირად ისმის ქალის ქმრისადმი მორჩილების ქრისტიანული ვალდებულება, მაგრამ არავის ახსენდება, რომ ცოლისათვის ქმარმა სიცოცხლე უნდა გაწიროს, როგორც უფალმა კაცობრიობისათვის.

ქრისტიანებისათვის წმინდათაწმინდაა ოჯახი, იგი სიწმინდესა და უბიწობას ეფუძნება, საქორწინო თეთრი კაბა ქალის ქალწულების სიმბოლოა. ერთგულება და პატიოსნება მან მთელი ცხოვრების მანძილზე ღირსეულად უნდა ატაროს, ღალატის შემთხვევაში იგი სასტიკად იკიცხება. იგივე მოეთხოვება კაცსაც, მაგრამ საზოგადოება მის მიმართ შემწყნარებელია.

ახალ აღთქმაში ქალის მიმართ დამოკიდებულება ორმაგი სტანდარტით გამოირჩევა. მამაკაცი ქალთან მიმართებაში ყოველთვის პოზიტიურად არის წარმოდგენილი, ძველი აღთქმისგან განსხვავებით ქალის მიმართ დამოკიდებულება შერბილებულია, მეტიც, არის ისეთი ეპიზოდები, რომლებიც ქალისა და მამაკაცის თანასწორობის პრინციპს უსვამს ხაზს.

დასკვნა

ძველი აღთქმა ქადაგებს შურისძიებას, „კბილი კბილის წილ, სისხლი სისხლის წილ“, ხოლო ახალი აღთქმა, სიყვარულსა და მიმტევებლობას. „ნუ მიაგებთ ბოროტს ბოროტის წილ, ნურც გინებას გინების წილ, არამედ აკურთხევდეთ წინააღმდგომს და იცავდეთ, რომ იმისთვის ხართ ხმობილნი, რათა დაიმკვიდროთ კურთხევა“ [1, 1109]. აღსანიშნავია, რომ იესო ქრისტეს ჯვარცმის დროს ტაძარში კრეტსაბმელი გაიპო, რაც მიმანიშნებელია ძველი სასტიკი პერიოდის დასრულებისა და ახალი ერის დაბადების. ქრისტემ ჯვარცმით კაცობრიობის ცოდვები გამოისყიდა (პირველ რიგში „ადამის ცოდვა“), სიყვარული, მიმტევებლობა და თანასწორობა გახდა ადამიანების მთავარი ორიენტირი.

ახალმა აღთქმამ განუსაზღვრა ქალსა და კაცს თავიანთი როლები, დააკანონა მათი მოვალეობები. მიუხედავად თანასწორობის ქადაგებისა ქალისადმი დამოკიდებულება ორმაგია, როგორც პოზიტიური, მამაკაცთან თანასწორი, ასევე დაქვემდებარებული. ქალის მთავარი ვალდებულებები რეპროდუქციულობა და

ქმრისადმი მორჩილებაა.

ქალის მიმართ დამკვიდრებული სტერეოტიპული აზრის გაბათილება არაერთმა მოაზროვნემ სცადა. მათ შორის აღსანიშნავია XIX საუკუნის დიდი ინგლისელი მოაზროვნე ჯონ სტუარტ მილი. მან ლაკონიურად, ამომწურავად მიუთითა საზოგადოებას ქალთა თანასწორობის საწინააღმდეგო ფსევდო მიზეზების არარელევანტურობაზე - „ქალთა დაქვემდებარებული მდგომარეობის ისტორიულად დიდი ხნის მანძილზე არსებობა, თავისთავად არ წარმოადგენს არგუმენტს, რომელიც გაამართლებდა ამ მდგომარეობის შენარჩუნებას მომავალშიც“ [13, 24]. აღნიშნული აზრი უაღრესად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ქალთა უფლებებისათვის ბრძოლის საქმეში და დღესაც არ კარგავს აქტუალობას.

ქალებისადმი დამოკიდებულების ცვლილების საკითხში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის უტოპისტ სოციალისტებს, განსაკუთრებით შარლ ფურიეს, მისი აზრით, „საზოგადოების ცივილიზაციის დონე ქალთა მდგომარეობის პირდაპირპროპორციულია“ [4, 28]. ასევე მნიშვნელოვანია XX საუკუნის ინგლისელი მეცნიერის ა. ბარნეტის შეხედულება, რომელიც აღნიშნავს, რომ ქალისა და მამაკაცის გონებრივი შესაძლებლობები თანაბარია, რასაც ადასტურებს სამედიცინო სფეროში მომხდარი ცვლილებები. იგი ამბობს, რომ „100 წლის წინ არ არსებობდნენ ექიმი ქალები, რომ მათ მედიცინის ათვისება თითქოს არ შეეძლოთ. დღეს კი ექიმების ნახევარი ქალებია“ [4, 29]. საბჭოთა კავშირის კონსტიტუციამ დააკანონა ქალისა და მამაკაცის თანასწორობა, ქალის მიმართ დამოკიდებულებები ფორმალურად შეიცვალა, თუმცა სსრკ-ში რეალური თანასწორობა მაინც ვერ დამკვიდრდა.

თანამედროვე საქართველოსათვის განვითარების გზა დემოკრატიული პრინციპებით ხელმძღვანელობას უკავშირდება, სადაც ქალისა და მამაკაცის თანასწორობა პრიორიტეტულია. აღნიშნული, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, არახალია, რადგან ისტორიულად ქალი, დედა დიდი პატივისცემით სარგებლობდა ქართულ ცნობიერებაში, ასევე საბჭოთა საქართველოშიც

კონსტიტუციით დეკლარირებული იყო სქესთა თანასწორობა. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქართულ ენაში დავანებულია ერის მსოფლმხედველობა. სიტყვა მეუღლეს ორმაგი დატვირთვა აქვს, ნიშნავს როგორც უღელში შებმულ ორ ხარს, ასევე ცოლსა და ქმარს, რომლებიც ოჯახის ჭაპანს ერთად ეწევიან და თანასწორნი არიან. ქართულ ენაში საუკუნეების მანძილზე ამ სიტყვის არსებობა ადასტურებს, რომ ჩვენში სქესთა თანასწორობის იდეა ორგანულია და არა თავსმოხვეული, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ენა, როგორც ცოცხალი ორგანიზმი ამოაგდებდა. ზოგადად, საქართველო ორმაგი სტანდარტების ქვეყანაა, გვაქვს ორი დამოუკიდებლობის დღე, ორი ახალი წელი, ასევე ქალის მიმართ ორმაგი მიდგომა. ქრისტიანობაშიც ქალთან დაკავშირებით ორმაგი დამოკიდებულებებია. ხაზგასასმელია, რომ ძველ აღთქმაში ღმერთი ადამიანს, ქალსაც და კაცსაც ერთნაირად ლოცავს და სჯის, ახალ აღთქმაში სქესთა თანასწორობა მრავალჯერ არის დადასტურებული, თუმცა ქალის მიმართ დამოკიდებულება ამბივალენტურია.

საქართველოში ძველი დროის ბიბლიის განმმარტებლები და თანამედროვე მკვლევრებიც, რომელთა შორის უკვე ქალებიც არიან, განსხვავებული რაკურსიდან განიხილავენ ბიბლიის ტექსტს. აღსანიშნავია, რომ დღეს სასულიერო ლიტერატურასა და ქადაგებებში სულ უფრო მკაფიოდ იკვეთება ქალისა და მამაკაცის თანასწორობის იდეა, რაც უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო სეკულარული სახელმწიფოა, ქრისტიანობა, როგორც ერის ცხოვრების ერთ-ერთი განმსაზღვრელი, ჩვენი საზოგადოების აზროვნებაზე – მორწმუნეებზეც, ათეისტებზეც, პირდაპირ თუ ირიბად, მაინც გავლენას ახდენს და სტერეოტიპებს აყალიბებს. სქესთა თანასწორობისადმი ეკლესიის დადებითი დამოკიდებულება ქართული საზოგადოებისათვის, ფემიციდის აღკვეთისა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის დასაძლევად მნიშვნელოვანია.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ბიბლია, თბილისი, 1989.
2. ნიკოლო მაკიაველი, ავტორთა კოლექტივი, შესავალი თანამედროვე აზროვნებაში, თბილისი, 2017.
3. კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2003.
4. ნ. დონაძე, თ. კიკნაძე, გენდერი – სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი, თბილისი, 2006.
5. ლ. სურმანიძე, ქართული კულტურის ზოგიერთი ორიენტაცია (ძალადობა და გენდერი), გენდერული პრობლემატიკა საქართველოში, თბილისი, 2002.
6. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 3, დემოკრატია. https://matsne.gov.ge (უკანასკნელად გადამოწმებულია 02.06. 2021).
7. კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართმადიდებელ ეკლესიას შორის, https://patriarchate.ge (უკანასკნელად გადამოწმებულია 02.06. 2021).
8. მ. ყიფიანი, „აფხაზეთიდან დევნილ ქალთა ინტეგრაცია თანამედროვე საქართველოში“, ჟურნალი, „საისტორიო ვერტიკალები“ № 13, თბილისი, 2008.
9. ზ. კიკნაძე, საუბრები ბიბლიაზე, თბილისი, 1989.
10. მ. ჯავახიშვილი, ქალის საკითხი ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით, გენდერული პრობლემატიკა საქართველოში, თბილისი, 2002.
11. შესაქმის განმარტება (პირველი ნაწილი), თბილისი, 2004. https://www.tsu.ge (უკანასკნელად გადამოწმებულია 02.06.2021).
12. ბიბლია განმარტებებით, ტ. 1, თბილისი, 2020.
13. ჯონ სტუარტ მილი, შესავალი თანამედროვე აზროვნებაში, თბილისი, 2017.

Maia Kipiani

Academic Doctor of Histori, Faculty of Law and International Relations, Professor, Depaertment of Politics and International Relations, Georgian Technical University

EQUALITY, WOMEN, AND CHRISTIANITY

Summary

The article “Equality, Women, and Christianity“ emphasizes that Christian values are one of the pillars of European thought. The article highlights the particular importance of the idea of equality in the thoughts of the modern civilized world. Here we have to say that the Christian religion is focused on the issue of gender equality. Thus, the article analyzes the foundations of discrimination against women, dating back to the philosophical views of the ancient period and the Old Testament. The article presents episodes confirming the equality of men and women in the Bible. It is noted that due to patriarchal thinking, women are still considered as the secondary part of society since one of the basis of the Bible has an ambivalent attitude towards women. The article presents the thoughts of the women's rights activists J.S., Miles, C. Fourier, and A. Barnett. Based on the study of specific episodes of the Bible and the analysis of the fundamental work "Biblical Explanations" (Tbilisi, 2020), it was concluded that Christianity is against all forms of discrimination, including inequality between men and women.